# ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

# დადგენილება №21
## 2013 წლის 29 ნოემბერი

ქ. ონი

## ,,ონის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 13 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად ონის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1**

,,ონის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 13 დეკემბრის №31 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 18/12/2012, სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.118.016081 ) შევიდეს ცვლილება და დადგენილების:

ა) თავი I ჩამოყალიბდეს რედაქციით:

,,თავი I

ონის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტი

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2011 წლის ფაქტი | 2012 წლის ფაქტი | | | 2013 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები | 2,448.4 | 5.049.3 | 2,624.7 | 2,424.6 | 5,305.0 | 2,972,8 | 2,332.2 |
| გადასახადები | 99.9 | 89.6 | 0.0 | 89.6 | 70.0 | 0.0 | 70.0 |
| გრანტები | 2,201.0 | 4,759.1 | 2,624.7 | 2,134.4 | 5,131.3 | 2,969.1 | 2,162.2 |
| სხვა შემოსავლები | 147.6 | 200.6 | 0.0 | 200.6 | 103.8 | 3.8 | 100.0 |
| ხარჯები | 1,808.8 | 2,301.7 | 156.6 | 2,145.1 | 2,656.2 | 133.7 | 2,522.5 |
| შრომის ანაზღაურება | 712.5 | 918.2 | 0.0 | 918.2 | 1,315.6 | 0.0 | 1,315.6 |
| საქონელი და მომსახურება | 403.7 | 462.7 | 6.6 | 456.1 | 660.5 | 67.7 | 592.9 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სუბსიდიები | 318.3 | 385.2 | 35.0 | 350.2 | 473.5 | 2.2 | 471.2 |
| გრანტები | 150.0 | 360.0 | 0.0 | 360.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 209.5 | 170.9 | 115.0 | 55.9 | 172.7 | 63.8 | 108.9 |
| სხვა ხარჯები | 14.8 | 4.7 | 0.0 | 4.7 | 33.9 | 0.0 | 33.9 |
| საოპერაციო სალდო | 639.6 | 2,747.6 | 2,468.1 | 279.5 | 2,648.8 | 2,839.1 | –190.3 |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 605.0 | 2,391.1 | 2,236.8 | 154.3 | 3,186.5 | 3,073.6 | 112.9 |
| ზრდა | 704.4 | 2,417.6 | 2,236.8 | 180.8 | 3,186.5 | 3,073.6 | 112.9 |
| კლება | 99.4 | 26.5 | 0.0 | 26.5 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| მთლიანი სალდო | 34.6 | 356.5 | 231.3 | 125.2 | –537.6 | –234.5 | –303.2 |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | 34.6 | 356.5 | 231.3 | 125.2 | –537.6 | –234.5 | –303.2 |
| ზრდა | 34.6 | 356.5 | 231.3 | 125.2 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 34.6 | 356.5 | 231.3 | 125.2 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 537.6 | 234.5 | 303.2 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ვალდებულებების ცვლილება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| კლება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

## მუხლი 2. ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით.

| დასახელება | 2011 წლის ფაქტი | 2012 წლის ფაქტი | | | 2013 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **შემოსულობები** | **2,547.8** | **5,075.7** | **2,624.7** | **2,451.1** | **5,305.0** | **2,972.8** | **2,332.2** |
| შემოსავლები | 2,448.4 | 5,049.3 | 2,624.7 | 2,424.6 | 5,305.0 | 2,972.8 | 2,332.2 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 99.4 | 26.5 | 0.0 | 26.5 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **გადასახდელები** | **2,513.2** | **4,719.3** | **2,393.4** | **2,325.9** | **5,842.7** | **3,207.3** | **2,635.4** |
| ხარჯები | 1,808.8 | 2,301.7 | 156.6 | 2,145.1 | 2,656.2 | 133.7 | 2,522.5 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 704.4 | 2,417.6 | 2,236.8 | 180.8 | 3,186.5 | 3,073.6 | 112.9 |
| ნაშთის ცვლილება | 34.6 | 356.5 | 231.3 | 125.2 | –537.6 | –234.5 | –303.2 |

### მუხლი 3. ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2013 წლის შემოსავლები 5 305.0 ათასი ლარის ოდენობით.

| დასახელება | 2011 წლის ფაქტი | 2012 წლის ფაქტი | | | 2013 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| **შემოსავლები** | **2,448.4** | **5,049.3** | **2,624.7** | **2,424.6** | **5,305.0** | **2,972.8** | **2,332.2** |
| **გადასახადები** | **99.9** | **89.6** | **0.0** | **89.6** | **70.0** | **0.0** | **70.0** |
| **გრანტები** | **2,201.0** | **4,759.1** | **2,624.7** | **2,134.4** | **5,131.3** | **2,969.1** | **2,162.2** |
| **სხვა შემოსავლები** | **147.6** | **200.6** | **0.0** | **200.6** | **103.8** | **3.8** | **100.0** |

### მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2013 წლის  გადასახადები 70.0 ათასი ლარის ოდენობით.

| დასახელება | 2011 წლის ფაქტი | 2012 წლის ფაქტი | | | 2013 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| **გადასახადები** | **99.9** | **89.6** | **0.0** | **89.6** | **70.0** | **0.0** | **70.0** |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ქონების გადასახადი** | **99.9** | **89.6** | **0.0** | **89.6** | **70.0** | **0.0** | **70.0** |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 73.4 | 61.3 | 0.0 | 61.3 | 58.0 | 0.0 | 58.0 |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 2.6 | 1.7 | 0.0 | 1.7 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 1.0 | 2.9 | 0.0 | 2.9 | 2.0 | 0.0 | 2.0 |
| არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 23.0 | 23.6 | 0.0 | 23.6 | 10.0 | 0.0 | 10.0 |
| სხვა გადასახადები ქონებაზე | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

## მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 5 131.3 ათასი ლარის ოდენობით.

| დასახელება | 2011 წლის ფაქტი | 2012 წლის ფაქტი | 2013 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| **გრანტები** | **2,201.0** | **4,759.1** | **5,131.3** |
| **სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი** | **2,201.0** | **4,759.1** | **5,131.3** |
| **ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები** | **1,572.7** | **2,134.4** | **2,162.2** |
| გათანაბრებითი ტრანსფერი | 1,502.7 | 2,039.4 | 2,062.2 |
| მიზნობრივი ტრანსფერი | 70.0 | 95.0 | 100.0 |
| **ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები** | **628.3** | **2,624.7** | **2,969.1** |
| რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი | 250.0 | 1650.0 | 1,434.7 |
| სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 245.2 | 268.7 | 266.6 |
| მგფ-ს თანადაფინანსება | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| სხვა პროექტები | 133.1 | 706.0 | 1,267.8 |

## მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 103.8 ათასი ლარის ოდენობით.

| დასახელება | 2011 წლის ფაქტი | 2012 წლის ფაქტი | 2013 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| **სხვა შემოსავლები** | **147.6** | **200.6** | **103.8** |

| | | | |
|---|---|---|---|
| **შემოსავლები საკუთრებიდან** | **117.2** | **119.8** | **70.0** |
| **პროცენტები** | **0.0** | **15.0** | **0.0** |
| **რენტა** | **117.2** | **104.8** | **70.0** |
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 117.0 | 103.9 | 70.0 |
| შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 0.2 | 1.0 | 0.0 |
| **საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია** | **14.1** | **7.2** | **10.0** |
| **ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები** | **6.8** | **7.2** | **10.0** |
| სანებართვო მოსაკრებელი | 0.3 | 0.6 | 0.0 |
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 6.6 | 6.2 | 10.0 |
| სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი | 0.0 | 0.4 | 0.0 |
| **არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება** | **7.3** | **0.0** | **0.0** |
| შემოსავლები მომსახურების გაწევიდან | 7.3 | 0.0 | 0.0 |
| **ჯარიმები, სანქციები და საურავები** | **16.2** | **73.6** | **20.0** |
| **შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები** | **0.0** | **0.0** | **3.8** |

## მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის ხარჯები 2 656.2 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით.

| დასახელება | 2011 წლის ფაქტი | 2012 წლის ფაქტი | | | 2013 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| **ხარჯები** | **1,808.8** | **2,301.7** | **156.6** | **2,145.1** | **2,656.2** | **133.7** | **2,522.5** |
| **შრომის ანაზღაურება** | **712.5** | **918.2** | **0.0** | **918.2** | **1,315.6** | **0.0** | **1,315.6** |
| **საქონელი და მომსახურება** | **403.7** | **462.7** | **6.6** | **456.1** | **660.5** | **67.7** | **592.9** |
| **სუბსიდიები** | **318.3** | **385.2** | **35.0** | **350.2** | **473.5** | **2.2** | **471.2** |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გრანტები | 150.0 | 360.0 | 0.0 | 360.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 209.5 | 170.9 | 115.0 | 55.9 | 172.7 | 63.8 | 108.9 |
| სხვა ხარჯები | 14.8 | 4.7 | 0.0 | 4.7 | 33.9 | 0.0 | 33.9 |

## მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 3 186.5 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 3 186.5 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2011 წლის ფაქტი | 2012 წლის ფაქტი | 2013 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 39.5 | 155.3 | 67.5 |
| თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 3.4 | 1.0 | 0.0 |
| ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 661.5 | 2,261.3 | 3,093.9 |
| კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი | 0.0 | 0.0 | 25.1 |
| სულ ჯამი | 704.4 | 2,417.6 | 3,186.5 |

ბ) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება განსაზღვრული არ არის:

| დასახელება | 2011 წლის ფაქტი | 2012 წლის ფაქტი | 2013 წლის გეგმა |
|---|---|---|---|
| არაფინანსური აქტივების კლება | 99.4 | 26.5 | 0.0 |
| ძირითადი აქტივები | 0.0 | 19.3 | 0.0 |
| ფასეულობები | 85.6 | 1.9 | 0.0 |
| არაწარმოებული აქტივები | 13.8 | 5.3 | 0.0 |
| მიწა | 13.8 | 5.3 | 0.0 |

## მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

| ფუნქციონალური კოდი | დასახელება | 2011 წლის ფაქტი | 2012 წლის გეგმა | 2013 წლის გეგმა |
|---|---|---|---|---|
| **701** | **საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება** | **1,003.9** | **1,515.8** | **1,522.4** |
| 7011 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 963.2 | 1,484.6 | 1,453.4 |
| 70111 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა | 813.2 | 1,124.6 | 1,446.5 |
| 70112 | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა | 150.0 | 360.0 | 6.9 |
| 7016 | ვალთან დაკავშირებული ოპერაციები | 27.9 | 29.1 | 16.5 |
| 7018 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში | 12.8 | 2.1 | 52.5 |
| **702** | **თავდაცვა** | **43.7** | **51.4** | **63.3** |
| **703** | **საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება** | **112.0** | **130.1** | **141.5** |
| 7031 | პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა | 13.3 | 23.6 | 0.0 |
| 7032 | ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა | 98.7 | 106.5 | 141.5 |
| **704** | **ეკონომიკური საქმიანობა** | **324.7** | **519.5** | **1,992.0** |
| 7045 | ტრანსპორტი | 79.9 | 253.3 | 1,723.0 |
| 70451 | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები | 79.9 | 253.3 | 1,723.0 |
| 7049 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში | 244.8 | 266.2 | 269.0 |
| **705** | **გარემოს დაცვა** | **119.8** | **367.8** | **809.9** |
| 7051 | ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება | 64.7 | 101.9 | 111.5 |
| 7052 | ჩამდინარე წყლების მართვა | 55.1 | 265.9 | 698.4 |
| **706** | **საბინაო-კომუნალური მეურნეობა** | **359.3** | **1,568.8** | **611.1** |
| 7061 | ბინათმშენებლობა | 0.0 | 105.3 | 4.9 |
| 7062 | კომუნალური მეურნეობის განვითარება | 198.7 | 1,136.9 | 407.2 |
| 7063 | წყალმომარაგება | 19.7 | 121.9 | 56.5 |
| 7064 | გარე განათება | 140.9 | 204.7 | 142.6 |
| **707** | **ჯანმრთელობის დაცვა** | **20.5** | **19.7** | **32.7** |
| 7074 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 20.5 | 19.7 | 32.7 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| **708** | **დასვენება, კულტურა და რელიგია** | **221.1** | **263.0** | **327.9** |
| 7081 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 58.0 | 96.2 | 91.5 |
| 7082 | მომსახურება კულტურის სფეროში | 140.8 | 157.1 | 191.3 |
| 7083 | ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 7084 | რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა | 22.3 | 9.7 | 45.1 |
| **709** | **განათლება** | **99.0** | **112.2** | **158.0** |
| 7091 | სკოლამდელი აღზრდა | 59.0 | 69.2 | 102.6 |
| 7096 | განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება | 40.0 | 43.0 | 55.4 |
| **710** | **სოციალური დაცვა** | **208.0** | **170.9** | **183.8** |
| 7101 | ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | 16.1 | 19.1 | 20.0 |
| 71011 | ავადმყოფთა სოციალური დაცვა | 14.9 | 16.7 | 17.0 |
| 71012 | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | 1.2 | 2.4 | 3.0 |
| 7102 | ხანდაზმულთა სოციალური დაცვა | 0.2 | 0.6 | 1.0 |
| 7103 | მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა | 3.9 | 2.4 | 8.2 |
| 7104 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 14.1 | 28.5 | 54.1 |
| 7107 | სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას | 171.2 | 115.0 | 85.0 |
| 7109 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში | 2.5 | 5.2 | 15.6 |
| | **სულ** | **2,512.1** | **4,719.3** | **5,842.7** |

**მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი -537.6 ათასი ლარის ოდენობით.

**მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება -537.6 ათასი ლარის ოდენობით.

**მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 0.0 ლარის ოდენობით.

**მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი**

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით

მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტში შეიქმნილი სარეზერვო ფონდი 25,0 ათასი ლარიდან გაიხარჯა 23,0 ათ.ლარი მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. გაიზარდა სარეზერვო ფონდი 4,9 ათ. ლარით და განისაზღვრა 6.9 ათ.ლარი.

**მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი**

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 100.0 ათასი ლარი, მიიმართოს:

ა) საზოგადოებრივი ჯანმრთელობის განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 32.7 ათასი ლარი;

ბ) სამხედრო სამსახურის საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 63,3 ათასი ლარი;

გ) სამამულო ომის ვეტერანების დაკრძალვის ხარჯი 4,0 ათასი ლარი.

2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

**მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად“;
ბ) თავი I I ჩამოყალიბდეს რედაქციით:

**,,თავი II**

**ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები**

**მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები**

**1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება**

ბოლო დროს გახშირებული მიწისძვრის, სახანძრო და სხვა უბედური შემთხვევების პრევენციის მიზნით აუცილებელია პერსონალის სახანძრო და სამაშველო ტექნიკური ინვენტარით უზრუნველყოფა. პერსონალისათვის სათანადო ხარისხის ინდივიდუალური და ჯგუფური წვრთნების ჩატარება და პროფესიული დონის ამაღლება. სახანძრო-სამაშველო სამსახურის კომუნალური პირობების გაუმჯობესება. არსებული რესურსებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით აუცილებელია მაშველების ოპერატიული მოქმედებისათვის. საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

**1.1. საგანგებო სიტუაციების მართვა (პროგრამული კოდი 02 01)**

ბოლო დროს გახშირებული მიწისძვრების, სახანძრო და სხვა უბედური შემთხვევების პრევენციის მიზნით არსებული რესურსებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით სახანძრო-სამაშველო სამსახურის კომუნალური პირობების გაუმჯობესება.

**1.2. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)**

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ონის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

**2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-

შენახვა რეაბილიტაცია, ქ. ონში შიდა ქუჩების ასფალტირება, გ.ჯაფარიძის სახელობის კულტურის სახლის შიდა ინტერიერის (სცენის) დიზაინის მოწყობა, ქალაქსა და სოფლებში წყლის სათავე ნაგებობისა და სისტემების რეაბილიტაციის სამუშაოები, ქალაქის დასუფთავება როგორც საყოფაცხოვრებო ასევე საამშენებლო ნარჩენებისაგან, ძაღლების პრევენციული ღონისძიების გატარება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ტექნიკური მომსახურება და სოფ. გლოლაში და უწერაში გარე განათების მოწყობის სამუშაოები, მურმან ლებანიძის ძეგლთან ქვაფენილის მოწყობა, კახაბრის ქ. №11-ში მდებარე მრავალბინიანი კორპუსის სახურავის რეაბილიტაცია, ქალაქში გამწვანების ზოლში არსებული ნარგავების გასხვლა-გადაბელვა, გათეთრება, ქ. ონში მჟავეწყლის კანალიზაციის მოწყობა, ნაპირსამაგრი და სამხატვრო სკოლის კერამიკული გამოსაწვავი ოთახის მოწყობის სამუშაოები, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება. კულტურის ცენტრის გარე კანალიზაციის მოწყობის სამუშაოები, ყოფილი ბაგა-ბაღის შენობის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა, პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

მუნიციპალიტეტში სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვების დიდი ნაწილი ავტოტრანსპორტზე მოდის, ამიტომ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს საავტომობილო გზების, ხიდების და ბოგირების მშენებლობის აუცილებლობა. მნიშვნელოვანია საკურორტო ცენტრებთან, ისტორიულ და კულტურულ ძეგლებთან მისასვლელი გზების რეკონსტრუქცია და მოდერნიზება. ზამთარში დიდთოვლობის დროს მაღალმთიან სოფლებში ტრანსპორტის უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელია თოვლის საფარისაგან გზების გაწმენდა. შიდა სასოფლო გზების მოვლა რეკონსტრუქცია, ქ. ონში შიდა ქუჩების ასფალტირება და აღნიშნული სამუშაოსათვის საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა. სოფ. სორში ტყეკაფში შესასვლელი გზის მოწყობა. სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ ქ.ონში, სოფლებში ღები, უწერა, გომი, ჯინჭვისი, ლაგვანთა-ბორცო-საკაო-მაჟიეთი-ხიდეშლები, ღარი, ჭალა, წოლა, პიპილეთი-ჟაშქვა, ონჭევი, სომიწო, სორგითი-ღუნდა, ცხმორი-ფსორი-ბაჯიხევი, წედისი-ქვედი, სევა, კომანდელი-ხირხონისი-ქორთა, ნაკიეთი-ფარავნეში, წმენდაური, ნიგავზები-ფარავნეში, გლოლა, ხურუთი, ჭიორა, შარდომეთი, სხანარი, ლაჩთა-შეუბანი, ზუდალი-შქმერი, ჟამიერეთი, ჭიბრევი, ფარახეთი, სხიერის და ბარი-მრავალძლის სტიქიით დაზიანებული გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები. სოფელ უწერაში საბაგირო ხიდის და ახალ ჩორდში მდ. ჭეშორას ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

2.2 საცხოვრებელი კორპუსების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქ. ონში კახაბრის ქ. №11-ში მდებარე მრავალბინიანი კორპუსის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაო. სტიქიისაგან დაზიანებული დგვარელის ქ. №17-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის სარემონტო სამუშაო.

2.3 გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 02)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის როგორც ქალაქად, ისე სოფლად, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ტექნიკური მომსახურება, სოფ. გლოლაში და უწერაში გარე განათების მოწყობის სამუშაოები.

2.4 დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარიული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად, ქვეპროგრამის ფარგლებში გავალისწინებულია მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა როგორც საყოფაცხოვრებო ასევე საამშენებლო, ახალი ბუნკერების შეძენა, ძაღლების პრევენციული ღონისძიების გატარება.

2.5 საკანალიზაციო სისტემის, ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქ. ონში მჟავე წყლის კანალიზაციის მოწყობის სამუშაო, ჩაჩაშვილის ქ. მესამე ჩიხში სანიაღვრე არხის მოწყობა, სოფ. ჭალაში მდ. ჭალულაზე და სოფ. პიპილეთში ბორჯანას ხიდის ნაპირსამაგრი სამუშაოების წილობრივი დაფინანსება და სოფ. ღარში გეოლოგების სახერხთან და ლებანიძის სანაპიროსთან მდ.რიონის კალაპოტის ფორმირების სამუშაო. ქ. ონში კულტურის ცენტრის გარე კანალიზაციის მოსაწყობად. სტიქიის შედეგად სალიკვიდაციოდ სოფ. ღებში, ქვედა

კვაშხიეთში, ღარში, უწერაში, კომანდელში, ჯინჭვისში, სორში. სოფტექნიკის ტერიტორიაზე მდ. „რიონზე“ და შარდომეთში ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობა, ქ. ონში (დგვარელის ქ. ჩაჩაშვილის ქ. ქაფიანიძის ქ. ყაზბეგის ქ.) სანიაღვრე არხების მოწყობა-წმენდა-რეაბილიტაცია, სოფ. წმენდაურში მეწყერისა და სანიაღვრე არხის გაწმენდა, სოფ. გლოლაში მდ. „ჭანჭახის“ კალაპოტის წმენდა და მასთან დაკავშირებული საპროექტო მომსახურება. ქ.ონში, ღარში და პიპილეთში სანიაღვრე არხის და მეწყერის წმენდის სამუშაოები.

## 2.6 წყლის სისტემის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სოფლებში წყლის სათავე ნაგებობისა და სისტემების რეაბილიტაცია და სოფ. სორში და სოფ. ღარში წყალსადენის რეაბილიტაციისათვის საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა.

## 2.7 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

მუნიციპალიტეტში არსებულ საკუთრებაში საკმაოდ ბევრი არასაცხოვრებელი დანიშნულების შენობებია, რომლებიც ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული დატვირთვის მატარებელია. შენობების ექსპლუატაციის პერიოდის გათვალისწინებით, ხშირად დგება დღის წესრიგში მათზე მიმდინარე სხვადასხვა სახის სარემონტო სამუშაოების შესრულება. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. ონში სამხატვრო სკოლის კერამიკული ღუმლის გამოსაწვავი ოთახის მოწყობის სამუშაო, მურმან ლებანიძის ძეგლთან ქვაფენილის მოწყობა, კულტურის სახლის შიდა ინტერიერის (სცენის) დიზაინის მოწყობის სამუშაო და მასთან დაკავშირებული საპროექტო მომსახურება. შპს „ონის კომუნალური მეურნეობის“ საწყობის ტერიტორიის შემოღობვის სამუშაოები, ქალაქში გამწვანების ზოლში არსებული ნარგავების გასხვლა-გადაბელვა- გათეთრება, სოფ. გლოლაში მინი სტადიონის მოწყობის წილობრივი მონაწილეობით განსაზღვრული სამუშაოები და ქ. ონში საჯარო სკოლის ამორტიზებული შენობის დემონტაჟისა და სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაო. ქ. ონში ყოფილი ბაგა-ბაღის შენობის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაო.

## 2.8 სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები (პროგრამული კოდი 03 0 4)

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2012 წელს აუთვისებელი თანხიდან დაფინანსდება სოფ. ზუდალში თავშეყრის ადგილის მოწყობის სამუშაო. 2013 წელს გამოყოფილი თანხიდან მოხდება სოფ.ცხმორში, ბაჯიხევში, ღუნდაში და ქვედში გადასასვლელი ბოგირების (საცალფეხო ხიდების) სარეაბილიტაციო სამუშაოები; სოფ. გონაში, ჭიორაში, ფარავნეში, საკაოში, მაჟიეთში, წმენდაურში, ჭალაში, ქრისტესში, პიპილეთში, ცხმორში, წედისში, კვაშხიეთში, შრომის უბანში, ქორთაში, ჭიბრევში, შარდომეთში, ახალ ჩორდში, გადმში, ჭვებარში, ქვემო ბარში, ზემო ბარში და სამთისში სასოფლო გზების რეაბილიტაცია; სოფ. გლოლაში სახერხის გაკეთების სამუშაო; სოფ. უჭერაში, ნიგავზებში, კვაშხიეთში, ხეითში და ზუდალში თავშეყრის ადგილის მოწყობა; სოფ. ღებში ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია; სოფ. საკაოში ადმინისტრაციული შენობის ეზოში სველი წერტილის მოწყობა; სოფ. ზუდალში სანიაღვრე არხის მოწყობა; სოფ. ჭიორაში, ხიდეშლებში, ბორცოში, ლაგვანთაში, ხურუთში, კომანდელში, ონჭევში, ფსორში, წედისში, ქვედში, სხანარში, შრომის უბანში, ხეითში, ბოყვაში, ქორთაში, ზვარეთში და ფარახეთში წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები; სოფ. შეუბანში, კომანდელში, წოლაში და ირში გარე განათების მოწყობის სამუშაოები; სოფ. სხიერში, ონჭევში, ქვედრულაში, შქმერში, ხარისთვალში და მრავალძალში სავარგულების შემოღობვა; სოფ. პატარა ღებში, გომში, ჯინჭვისში, ლაგვანთაში, შეუბანში, ლაჩთაში, ნიგვზნარაში, სომიწოსში, სორგითში, წედისში, ირში და სევაში სარიტუალო დარბაზის რეაბილიტაცია-აღჭურვა; სოფ.ნაკიეთში, საკაოში, ღარში, ხირხონისში, კომანდელში, ჟაშქვაში, უშოლთაში და სორში ეკლესიების და სასაფლაოების შემოღობვა.

## 3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია.

## 3.1 სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს ერთი საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 60 ბავშვი. საბავშვო ბაღებში ერთი ბავშვის მშობელთა შემონატანი შეადგენდა 7 ლარს და აღნიშნული თანხით

ძირითადად ფინანსდებოდა ბავშვების კვების ხარჯები. საქართველოს მთავრობის განკარგულება №1099 21.08.2013 წლის თანახმად, საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შედეგად გაუქმდა საჯარო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში კვების გადასახადი და 2013 წლის 1 სექტემბრიდან დაფინანსებული იქნება სრულად სუბსიდიის სახით. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს, მათ შორის, მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.

**4. კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)**

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად ერთად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს.

**4.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა.

2013 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და ღონისძიებები. ტარდება საერთაშორისო, რესპუბლიკური და სამხარეო ტურნირები ჭიდაობის სხვადასხვა სახეობებში, ახალგაზრდებსა და ჭაბუკებში; ასევე სამხარეო და რესპუბლიკური ტურნირები ფეხბურთში; სარაიონო ტურნირი ჭადრაკში და ტურისტური ლაშქრობა. დაკავებულია მინიციპალიტეტის 73-მდე სპორტსმენი ჭიდაობის, ფეხბურთის და კალათბურთის წრეებზე, რომლის დაფინანსება მთლიანად ხდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

**4.2 კულტურული ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით, პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის, სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

**4.2.1 ონის სახელოვნებო სკოლის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 01)**

მუნიციპალიტეტში 2013 წელს გაგრძელდება ახალგაზრდების კულტურულ-საგანმანათლებლო დონის ამაღლების ხელშეწყობა. ქ.ონში ფუნქციონირებს ააიპ - სახელოვნებო სკოლა სადაც გაერთიანებულია მუსიკალური და სამხატვრო სკოლა. მუსიკალური სკოლაში სწავლობს 31-მდე მოსწავლე.სკოლის დაფინანსება ხდება როგორც ადგილობრივი, ისე მშობელთა შემონატანით ერთი ბავშვის გადასახადი წლიურად განისაზღვრება 80 ლარით. სამხატვრო სკოლაში დაკავებულია 36-მდე მოსწავლე, ფუნქციონირებს თექის, კერამიკის და ხის მხატვრული დამუშავების განყოფილებები. დაფინანსება ხდება როგორც ადგილობრივი ბიუჯეტიდან ასევე შემონატანებით, თითოეულ ბავშვზე გადასახადი შეადგენს 8 ლარს, რომელიც წლის განმავლობაში 3200 ლარს შეადგენს. წლის განმავლობაში მიმდინარეობს სააღდგომო, გასვლითი სხვა რეგიონებში, საშემოდგომო და ნიღბების – საახალწლო გამოფენები და ასევე საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვები. აღსაზრდელებს მონაწილეობა აქვთ მიღებული სხვადასხვა საერთაშორისო გამოფენებზე.

**4.2.2 კულტურის ცენტრისა დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 02)**

2013 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება კულტურის ცენტრი, სადაც გარემონტებულ შენობაში დაკავებულია ამ დროისათვის 60 ბავშვი. კულტურის ცენტრში მოქმედებს ქორეოგრაფიის და საესტრადო სიმღერის წრეები, თოჯინების თეატრი და ფოლკლორული ანსაბლი „რაჭა“. დაფინანსება ხდება როგორც ადგილობრივი ბიუჯეტიდან ასევე მშობელთა შემონატანით.

**4.2.3 მუზეუმის დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 03)**

მუნიციპალიტეტში პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება ონის სამხარეო მუზეუმის დაფინანსება, სადაც წლების განმავლობაში ინახება უნიკალური ექსპონატები.

### 4.2.4 ბიბლიოთეკების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 04)

ახალგაზრდა თაობის ინტელექტუალური, ზნეობრივი და კულტურული განვითარების მიზნით, ისევე როგორც გასულ წლებში 2013 წელს გაგრძელდება ადგილობრივი ბიბლიოთეკების დაფინანსება.

### 4.3 კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის, მხარის ღირსეულად წარმოჩენის მიზნით ადგილობრივი და ჩამოსული სტუმრების დაინტერესების სანახაობებისა და წარმოდგენების მიზნით გაიმართება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები როგორიცაა საახალწლო და სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი კულტურული ღონისძიებები. იგეგმება საახალწლოდ ქალაქის მხატვრული და ელექტრონული გაფორმება. დაფინანსდება გაზეთი ონი.

### 4.4 რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. ონში საჯანისკარის სამლოცველოს სარემონტო სამუშაოები და გაბრიელ მთავარანგელოზის ეკლესიის სატრაპეზოს რეაბილიტაცია.

### 4.5 ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 05)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში, სადაც სხვადასხვა წრეებზე დაკავებულია 180 ბავშვი, რომელთა შემონატანი საშუალოდ ერთ ბავშვზე შეადგენს 10 ლარს, წლის განმავლობაში შეადგენს 11600 ლარს.

## 5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არამხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

### 5.1 საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

- გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები;
- იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, განხორციელების ხელშეწყობა, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა;
- იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა;
- პარაზიტული დავადებების ეპიდკვლევა, დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა;
- საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა, პრევენციული ღონისძიებების ხელშეწყობა;
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯამრთელობის მდგომარეობაზე ზედამხედველობა და ხელშეწყობა.

### 5.2 მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული

სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, ხანდაზმულთა სოციალური დაცვის მიზნით ფულადი შემწეობის გაცემა, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების (3 და მეტ ბავშვზე) დახმარებას, ერთჯერადი დახმარება შვილის შეძენასთან დაკავშირებით და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

5.2.1 ავადმყოფთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

- ავადმყოფობისა ან ტრავმის შედეგად დროებით შრომისუუნარო პირთათვის, რომლებიც არ სარგებლობენ სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთა სამედიცინო პოლისით, საჭიროებენ სტაციონარში მედიკამენტურ მკურნალობას ან/და სასწრაფო ოპერაციას, ხდება ფულადი დახმარება.

5.2.2 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

- არასაპენსიო ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის მიზნით ეწევა ერთჯერადი დახმარება 200 ლარის ოდენობით.

5.2.3 მრავალშვილიანი ოჯახებისა და ბავშვების შეძენასთან დაკავშირებით გაცემული ხარჯი (პროგრამული კოდი 06 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

- მრავალშვილიან ოჯახებზე სამი და მეტ შვილზე გაიცემა ერთჯერადი დახმარება სამ შვილზე 80 ლარი, დაახლოებით 70 ოჯახზე; ოთხ შვილზე 100 ლარი, დაახლოებით 8 ოჯახზე; ხუთ შვილზე 150 ლარი 1 ოჯახზე; ექვს შვილზე 180 ლარი;
- ერთჯერადი ფულადი დახმარება ოჯახებზე შვილის შეძენასთან დაკავშირებით 0–1 წლამდე ბავშვებზე 300 ლარის ოდენობით.
- სოციალური სუბსიდიის სააგენტოს ონის სამსახურში რეგისტრირებულ ობოლ ბავშვთა დახმარების მიზნით ახალ სასწავლო წლის დაწყებისათვის თითოეულზე სულ 22 ბავშვზე გაიცემა შემწეობა 50 ლარის ოდენობით.

5.2.4 მიწისძვრის შედეგად დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

- 1991 წლის მიწისძვრის შედეგად დაზარალებული მუდმივად მცხოვრები ოჯახებისათვის ერთჯერადი ფულადი კომპენსაციის გაცემა თითოეულ ოჯახზე 5000 ლარის ოდენობით.

5.2.5 ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯი (პროგრამული კოდი 06 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

- სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება, თითოეულ ბენეფიციარზე 250 ლარის ოდენობით (მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში).

5.2.6 სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული ოჯახების სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

- სტიქიური მოვლენების დროს ხანძარი, მეწყერი, წყალდიდობა, გრიგალი, ღვარცოფი ელემენტარული პირობების უზრუნველყოფის მიზნით თითოეულ ოჯახზე 100-დან 1000-ლარამდე დახმარების გაცემა.

5.2.7 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით ვეტერანთა ერთჯერადი დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

- სამამულო ომის ვეტერანებზე და საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისათვის ბრძოლაში დაინვალიდებულ პირებზე, აგრეთვე ბრძოლის დროს დაღუპულთა მეომრების თითოეულ ოჯახზე გაიცემა ფულადი შემწეობა 100 ლარის ოდენობით სულ 22 ბენეფიციარი;

**5.2.8 სამამულო ომის ვეტერანებზე და საქართველოს მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა, დაინვალ. ოჯახების ერთჯერადი სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 08)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

- სამამულო ომის ვეტერანებზე და საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისათვის ბრძოლაში დაინვალიდებულ პირებზე, აგრეთვე ბრძოლის დროს დაღუპულთა მეომრების თითოეულ ოჯახზე გაიცემა საშობაო საჩუქარი სულ 22 ოჯახზე;
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სამამულო ომის ვეტერანები, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ მებრძოლთა და მარჩენალდაკარგულთა ოჯახები, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს სამხედრო კონფლიქტში მონაწილეთა, ასევე აფხაზეთიდან და ცხინვალიდან დევნილთა ოჯახებს გაეწიოთ შეღავათები, განთავისუფლდნენ წყლისა და დასუფთავების მოსაკრებლების გადასახადიდან, სულ 182 ბენეფიციარი;

**5.2.9 ას წელს გადაცილებულთა სოციალური დაცვა (პროგრამული კოდი 06 02 09)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

- მუნიციპალიტეტში მცხოვრები 100 წლის და 100 წელს გადაცილებული მოქალაქეების მატერიალური დახმარება, თითოეულზე 300 ლარის ოდენობით.

**5.2.10 ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდ. სოფლებში მცხოვრები ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 10)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

- ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახებისათვის ზამთრის პერიოდში გათბობის უზრუნველყოფის მიზნით ერთჯერადი დახმარება თითოეულ ოჯახზე 200 ლარის ოდენობით.

| ორგ. კოდი | დასახელება | 2011წლის ფაქტი | 2012 წლის ფაქტი | | | 2013 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| | ონის მუნიციპალიტეტი | 2,513.2 | 4,719.3 | 2,393.4 | 2,325.8 | 5,842.7 | 3,207.3 | 2,635.4 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 138.0 | 157.0 | 0.0 | 157.0 | 156.0 | 0.0 | 156.0 |
| | ხარჯები | 1,808.8 | 2,301.7 | 156.6 | 2,145.1 | 2,656.2 | 133.7 | 2,522.5 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | შრომის ანაზღაურება | 712.5 | 918.2 | 0.0 | 918.2 | 1,315.6 | 0.0 | 1,315.6 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 704.4 | 2,417.6 | 2,236.8 | 180.8 | 3,186.5 | 3,073.6 | 112.9 |
| 01 00 | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 1,003.9 | 1,515.8 | 154.0 | 1,361.8 | 1,522.4 | 75.2 | 1,447.2 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 109.0 | 128.0 | 0.0 | 128.0 | 127.0 | 0.0 | 127.0 |
| | ხარჯები | 964.4 | 1,360.4 | 6.6 | 1,353.9 | 1,454.9 | 15.2 | 1,439.8 |
| | შრომის ანაზღაურება | 599.7 | 787.0 | 0.0 | 787.0 | 1,144.0 | 0.0 | 1,144.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 39.5 | 155.3 | 147.4 | 7.9 | 67.5 | 60.0 | 7.5 |
| 01 01 | მუნიციპალიტეტის საკრებულო | 188.9 | 220.3 | 2.0 | 218.3 | 350.8 | 0.0 | 350.8 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 15.0 | 16.0 | 0.0 | 16.0 | 17.0 | 0.0 | 17.0 |
| | ხარჯები | 188.9 | 219.2 | 2.0 | 217.2 | 348.5 | 0.0 | 348.5 |
| | შრომის ანაზღაურება | 144.0 | 165.9 | 0.0 | 165.9 | 284.2 | 0.0 | 284.2 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 1.2 | 0.0 | 1.2 | 2.2 | 0.0 | 2.2 |
| 01 02 | მუნიციპალიტეტის გამგეობა | 624.3 | 904.3 | 150.0 | 754.2 | 1,095.7 | 60.0 | 1,035.7 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 94.0 | 112.0 | 0.0 | 112.0 | 110.0 | 0.0 | 110.0 |
| | ხარჯები | 584.8 | 750.1 | 2.6 | 747.5 | 1,030.5 | 0.0 | 1,030.5 |
| | შრომის ანაზღაურება | 455.7 | 621.1 | 0.0 | 621.1 | 859.8 | 0.0 | 859.8 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 39.5 | 154.2 | 147.4 | 6.7 | 65.2 | 60.0 | 5.2 |
| 01 03 | სარეზერვო ფონდი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 6.9 | 0.0 | 6.9 |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 6.9 | 0.0 | 6.9 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 01 05 | წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა | 16.5 | 16.5 | 0.0 | 16.5 | 16.5 | 0.0 | 16.5 |
| | ხარჯები | 16.5 | 16.5 | 0.0 | 16.5 | 16.5 | 0.0 | 16.5 |
| 01 06 | მაჟორიტარი დეპუტატის მომსახურების ხარჯი | 11.4 | 12.6 | 0.0 | 12.6 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 11.4 | 12.6 | 0.0 | 12.6 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 01 07 | ასოცირებული საწევრო გადასახადი | 0.2 | 0.2 | 0.0 | 0.2 | 0.3 | 0.0 | 0.3 |
| | ხარჯები | 0.2 | 0.2 | 0.0 | 0.2 | 0.3 | 0.0 | 0.3 |
| 01 09 | წინა წელს გამოუყენებელი და უკან დაბრუნებული თანხა | 12.7 | 2.0 | 2.0 | 0.0 | 52.2 | 15.2 | 37.0 |
| | ხარჯები | 12.7 | 2.0 | 2.0 | 0.0 | 52.2 | 15.2 | 37.0 |
| 01 10 | რეგიონის ფონდის შევსება | 150.0 | 360.0 | 0.0 | 360.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 150.0 | 360.0 | 0.0 | 360.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 02 00 | თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 155.8 | 181.5 | 0.0 | 181.5 | 204.8 | 0.0 | 204.8 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 29.0 | 29.0 | 0.0 | 29.0 | 29.0 | 0.0 | 29.0 |
| | ხარჯები | 152.4 | 180.5 | 0.0 | 180.5 | 204.8 | 0.0 | 204.8 |
| | შრომის ანაზღაურება | 112.8 | 131.2 | 0.0 | 131.2 | 171.6 | 0.0 | 171.6 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 3.4 | 1.0 | 0.0 | 1.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 02 01 | საგანგებო სიტუაციების მართვა | 98.7 | 106.5 | 0.0 | 106.5 | 141.5 | 0.0 | 141.5 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 23.0 | 23.0 | | 23.0 | 23.0 | | 23.0 |
| | ხარჯები | 98.7 | 106.5 | 0.0 | 106.5 | 141.5 | 0.0 | 141.5 |
| | | | | | | | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | შრომის ანაზღაურება | 82.9 | 92.0 | 0.0 | 92.0 | 123.8 | 0.0 | 123.8 |
| 02 02 | საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხელშეწყობა | 13.3 | 23.6 | 0.0 | 23.6 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 10.3 | 23.6 | 0.0 | 23.6 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 3.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 02 03 | ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა | 43.7 | 51.4 | 0.0 | 51.4 | 63.3 | 0.0 | 63.3 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 6.0 | 6.0 | | 6.0 | 6.0 | | 6.0 |
| | ხარჯები | 43.3 | 50.4 | 0.0 | 50.4 | 63.3 | 0.0 | 63.3 |
| | შრომის ანაზღაურება | 29.9 | 39.1 | 0.0 | 39.1 | 47.8 | 0.0 | 47.8 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.4 | 1.0 | 0.0 | 1.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 03 00 | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 804.9 | 2,456.3 | 2,089.4 | 366.8 | 3,413.0 | 3,066.1 | 346.9 |
| | ხარჯები | 143.4 | 195.0 | 0.0 | 195.0 | 319.1 | 52.5 | 266.6 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 661.5 | 2,261.3 | 2,089.4 | 171.8 | 3,093.9 | 3,013.6 | 80.3 |
| 03 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა | 79.9 | 253.3 | 184.5 | 68.8 | 1,723.0 | 1,684.3 | 38.6 |
| | ხარჯები | 4.8 | 21.5 | 0.0 | 21.5 | 71.6 | 33.0 | 38.6 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 75.1 | 231.9 | 184.5 | 47.3 | 1,651.3 | 1,651.3 | 0.0 |
| 03 02 | კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 480.2 | 1,936.7 | 1,638.7 | 298.0 | 1,421.0 | 1,112.7 | 308.3 |
| | ხარჯები | 138.6 | 173.6 | 0.0 | 173.6 | 247.5 | 19.5 | 228.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 341.6 | 1,763.1 | 1,638.7 | 124.5 | 1,173.5 | 1,093.2 | 80.3 |
| | | | | | | | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 03 02 01 | საცხოვრებელი კორპუსების რეაბილიტაციის პროგრამა | 0.0 | 105.3 | 105.3 | 0.0 | 4.9 | 0.0 | 4.9 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 105.3 | 105.3 | 0.0 | 4.9 | 0.0 | 4.9 |
| 03 02 02 | გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 140.9 | 204.7 | 116.5 | 88.2 | 142.6 | 0.0 | 142.6 |
| | ხარჯები | 81.5 | 79.7 | 0.0 | 79.7 | 121.8 | 0.0 | 121.8 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 59.3 | 125.0 | 116.5 | 8.5 | 20.8 | 0.0 | 20.8 |
| 03 02 03 | დასუფთავების ღონისძიებები | 64.7 | 101.9 | 32.9 | 69.1 | 111.5 | 13.3 | 98.2 |
| | ხარჯები | 51.7 | 69.1 | 0.0 | 69.1 | 98.2 | 0.0 | 98.2 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 13.0 | 32.9 | 32.9 | 0.0 | 13.3 | 13.3 | 0.0 |
| 03 02 04 | საკანალიზაციო სისტემის მოწყობა და რეაბილიტაცია | 55.1 | 265.9 | 240.8 | 25.1 | 698.4 | 670.4 | 28.0 |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 15.0 | 15.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 55.1 | 265.9 | 240.8 | 25.1 | 683.4 | 655.4 | 28.0 |
| 03 02 05 | წყლის სისტემის რეაბილიტაცია | 19.7 | 121.9 | 103.3 | 18.6 | 56.5 | 56.5 | 0.0 |
| | ხარჯები | 0.0 | 1.7 | 0.0 | 1.7 | 4.5 | 4.5 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 19.7 | 120.2 | 103.3 | 16.9 | 52.0 | 52.0 | 0.0 |
| 03 03 | მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები | 198.7 | 1,136.9 | 1,040.0 | 96.9 | 407.2 | 372.6 | 34.6 |
| | ხარჯები | 5.4 | 23.0 | 0.0 | 23.0 | 8.0 | 0.0 | 8.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 193.4 | 1,113.9 | 1,040.0 | 73.9 | 399.2 | 372.6 | 26.6 |
| 03 04 | ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაცია (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა) | 244.8 | 266.2 | 266.2 | 0.0 | 269.0 | 269.0 | 0.0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 244.8 | 266.2 | 266.2 | 0.0 | 269.0 | 269.0 | 0.0 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 04 00 | განათლება | 59.0 | 69.2 | 0.0 | 69.2 | 102.6 | 2.2 | 100.3 |
| | ხარჯები | 59.0 | 69.2 | 0.0 | 69.2 | 102.6 | 2.2 | 100.3 |
| 04 01 | სკოლამდელი განათლება | 59.0 | 69.2 | 0.0 | 69.2 | 102.6 | 2.2 | 100.3 |
| | ხარჯები | 59.0 | 69.2 | 0.0 | 69.2 | 102.6 | 2.2 | 100.3 |
| 05 00 | კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები | 261.1 | 305.9 | 35.0 | 270.9 | 383.3 | 0.0 | 383.3 |
| | ხარჯები | 261.1 | 305.9 | 35.0 | 270.9 | 358.2 | 0.0 | 358.2 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 25.1 | 0.0 | 25.1 |
| 05 01 | სპორტის განვითარების ხელშეწყობა | 58.0 | 96.2 | 35.0 | 61.2 | 91.5 | 0.0 | 91.5 |
| | ხარჯები | 58.0 | 96.2 | 35.0 | 61.2 | 91.5 | 0.0 | 91.5 |
| 05 02 | კულტურული ორგანიზაციების ხელშეწყობა | 163.9 | 172.8 | 0.0 | 172.8 | 219.9 | 0.0 | 219.9 |
| | ხარჯები | 163.9 | 172.8 | 0.0 | 172.8 | 219.9 | 0.0 | 219.9 |
| 05 02 01 | ონის სახელოვნებო სკოლის ხელშეწყობა | 40.0 | 43.0 | 0.0 | 43.0 | 55.4 | 0.0 | 55.4 |
| | ხარჯები | 40.0 | 43.0 | 0.0 | 43.0 | 55.4 | 0.0 | 55.4 |
| 05 02 02 | კულტურის ცენტრისა დაფინანსება | 44.9 | 45.9 | 0.0 | 45.9 | 69.3 | 0.0 | 69.3 |
| | ხარჯები | 44.9 | 45.9 | 0.0 | 45.9 | 69.3 | 0.0 | 69.3 |
| 05 02 03 | მუზეუმის დაფინანსება | 34.3 | 38.6 | 0.0 | 38.6 | 47.2 | 0.0 | 47.2 |
| | ხარჯები | 34.3 | 38.6 | 0.0 | 38.6 | 47.2 | 0.0 | 47.2 |
| 05 02 04 | ბიბლიოთეკების დაფინანსება | 44.6 | 45.3 | 0.0 | 45.3 | 48.0 | 0.0 | 48.0 |
| | ხარჯები | 44.6 | 45.3 | 0.0 | 45.3 | 48.0 | 0.0 | 48.0 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 05 03 | კულტურული ღონისძიებების დაფინანსება | 22.3 | 9.7 | 0.0 | 9.7 | 20.0 | 0.0 | 20.0 |
| | ხარჯები | 22.3 | 9.7 | 0.0 | 9.7 | 20.0 | 0.0 | 20.0 |
| 05 04 | რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 25.1 | 0.0 | 25.1 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 25.1 | 0.0 | 25.1 |
| 05 05 | ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება | 17.0 | 27.4 | 0.0 | 27.4 | 26.9 | 0.0 | 26.9 |
| | ხარჯები | 17.0 | 27.4 | 0.0 | 27.4 | 26.9 | 0.0 | 26.9 |
| 06 00 | მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 228.5 | 190.6 | 115.0 | 75.6 | 216.5 | 63.8 | 152.7 |
| | ხარჯები | 228.5 | 190.6 | 115.0 | 75.6 | 216.5 | 63.8 | 152.7 |
| 06 01 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 20.5 | 19.7 | 0.0 | 19.7 | 32.7 | 0.0 | 32.7 |
| | ხარჯები | 20.5 | 19.7 | 0.0 | 19.7 | 32.7 | 0.0 | 32.7 |
| 06 02 | მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა | 208.0 | 170.9 | 115.0 | 55.9 | 183.8 | 63.8 | 120.0 |
| | ხარჯები | 208.0 | 170.9 | 115.0 | 55.9 | 183.8 | 63.8 | 120.0 |
| 06 02 01 | ავადმყოფთა სოციალური დაცვა | 14.9 | 16.7 | 0.0 | 16.7 | 17.0 | 0.0 | 17.0 |
| | ხარჯები | 14.9 | 16.7 | 0.0 | 16.7 | 17.0 | 0.0 | 17.0 |
| 06 02 02 | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | 1.2 | 2.4 | 0.0 | 2.4 | 3.0 | 0.0 | 3.0 |
| | ხარჯები | 1.2 | 2.4 | 0.0 | 2.4 | 3.0 | 0.0 | 3.0 |
| 06 02 03 | მრავალშვილიან ოჯახებისა და ბავშვების შეძენასთან დაკავშირებით გაცემული ხარჯი | 14.1 | 28.5 | 0.0 | 28.5 | 25.3 | 0.0 | 25.3 |
| | ხარჯები | 14.1 | 28.5 | 0.0 | 28.5 | 25.3 | 0.0 | 25.3 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 06 02 04 | მიწისძვრით დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯ. დახმარება | 171.2 | 115.0 | 115.0 | 0.0 | 85.0 | 35.0 | 50.0 |
| | ხარჯები | 171.2 | 115.0 | 115.0 | 0.0 | 85.0 | 35.0 | 50.0 |
| 06 02 05 | ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები | 2.3 | 0.3 | 0.0 | 0.3 | 4.0 | 0.0 | 4.0 |
| | ხარჯები | 2.3 | 0.3 | 0.0 | 0.3 | 4.0 | 0.0 | 4.0 |
| 06 02 06 | სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული ოჯახების სოციალური დახმარება | 0.5 | 3.0 | 0.0 | 3.0 | 13.0 | 0.0 | 13.0 |
| | ხარჯები | 0.5 | 3.0 | 0.0 | 3.0 | 13.0 | 0.0 | 13.0 |
| 06 02 07 | 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით ვეტერანთა ერთჯერადი დახმარება | 2.0 | 2.2 | 0.0 | 2.2 | 2.6 | 0.0 | 2.6 |
| | ხარჯები | 2.0 | 2.2 | 0.0 | 2.2 | 2.6 | 0.0 | 2.6 |
| 06 02 08 | სამამულო ომის ვეტერანებზე და საქართველოს მთლიანობის ბრძოლაში დაღუპულთა, დაინვალიდებულთა ოჯახების ერთჯერადი სოციალური დაცვა | 1.6 | 2.1 | 0.0 | 2.1 | 4.2 | 0.0 | 4.2 |
| | ხარჯები | 1.6 | 2.1 | 0.0 | 2.1 | 4.2 | 0.0 | 4.2 |
| 06 02 09 | ას წელს გადაცილებულთა ხანდაზმულთა სოციალური დაცვა | 0.2 | 0.6 | 0.0 | 0.6 | 1.0 | 0.0 | 1.0 |
| | ხარჯები | 0.2 | 0.6 | 0.0 | 0.6 | 1.0 | 0.0 | 1.0 |
| 06 02 10 | ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვ. ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 28.8 | 28.8 | 0.0 |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 28.8 | 28.8 | 0.0 |

მუხლი 2
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე — შალვა ჯაფარიძე